ოქმი:**ო37. 3724122001**

თარიღი:**01/05/2024**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2024 წელი, 30 აპრილი

ქ. ოზურგეთი

16.00 -18. 00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. არუშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე; ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, პ. სალუქვაძე, შ. თავდიშვილი, თ. გოგუაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. გოლიაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29-მ, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29 -ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა“ დატოვეს საკრებულოს სხდომა.

დღის წესრიგი

18.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია, გელა ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

საკითხის გაცნობამდე თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 29 აპრილს დედაქალაქის მთავარ გამზირზე ჩატარებულ აქციაზე რეგიონების წარმომადგენლები აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყნის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას, თითოეული ოჯახისა და მოქალაქის კეთილდღეობის დონის ამაღლებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ქვეყნის ევროპული მომავლის უზრუნველყოფას. მადლობა გადაუხადა აქციაში მონაწილე პარტიის წევრებს, მხარდამჭერებს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. აღნიშნა ოპოზიციის მიერ გავრცელებულ კიდევ ერთ ცრუ ინფორმაციაზე-თითქოსდა ის ადგილი, სადაც ადრე განთავსებული იყო ცნობილი ლოზუნგი „ენა, მამული, სარწმუნოება“ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში ყოფნისას გასხვისებულიყოს, სინანდვილეში ეს ტერიტორია გასხვისებულია წინა ხელისუფლების მიერ-2008 წელში. პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს მმართველობის პერიოდში გამოინახა შესაფერისი ადგილი და აღდგენილი იქნა ლოზუნგი. ამის შემდეგ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცელი და კონკრეტული ინფორმაცია გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ. ჭყონიამ.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ თანამომხსენებელ გ. ღურჯუმელიძეს დაუსვა შეკითხვა-ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები შესრულებულია, რაც კარგია, მაგრამ საჭიროა გაანალიზდეს რამ განაპირობა ეს მიღწევები? , ხოლო თანამომხსენებელ პ. ჭყონიას შეეკითხა - თავისუფალი ნაშთის განაწილების თაობაზე როდის შემოიტანენ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს?. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების წარმატებით შესრულება განაპირობა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამასახურების, საკრებულოს ერთობლივმა საქმიანობამ, ასევე ბიუჯეტის სწორმა დაგეგმვამ და მთლიან საბიუჯეტო პროცესში თანამედროვე სიახლეების დანერგვამ. პ. ჭყონიამ კი განაცხადა, რომ ნაშთის განაწილების პროექტი საკრებულოში წარმოდგენილი იქნება 10 სამუშაო დღეში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ყველა ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრი შესრულებულია, შესრულების მაღალი პარამეტრები მუნიციპალიტეტში ტრადიციად იქცა, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა -განხილვა არანაკლებ საპასუხისმგებლო მომენტია საბიუჯეტო პროცესში, ისევე როგორც ბიჯეტის დაგეგმვის და მირების პროცესი. ბიუჯეტის შესრულებისწლიური ანგარიში შთამბეჭდავია და უდაოდ იმ გუნდის დამსახურებაა, რომელიც მუნიციპალიტეტს ხელმძღვანელობს, მომავალში უკეთესი იქნება თუ

შესრულების ანგარიში წარდგენილი იქნება ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის მეთოდიკის გამოყენებით, რაც უფრო სრულფასოვან ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას. ლ. ბიგვავამ წამოაყენა წინადადება ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად და დაემტიკიცებინათ. საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მიულოცა 2023 წლის საბიუჯეტო წლის წარმატებით დასრულება.

საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს ანგარიშის დამტკიცებას. ანგარიში დამტკიცებული იქნა 24-ხმით, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ანგარიშის დამტკიცება.

19.2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა24 -ხმით

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ საზოგადოებას და საქართველოს შეიარღებულ ძალებს მიულოცა შექმნის დღე. შემდეგ გააცნო საკითხი.

20.3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

21.4. ,,საქართველოს გოეთეს ინსტიტუტსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა24 -ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა- პროექტიდან ჩანს, რომ პირველი ეტაპის სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 5 ათასი ევრო, რა მოცულობით არის განსაზღვრული მომდევნო ეტაპების დაფინანსება? უპასუხეს, რომ სამომავლო დაფინასებაზე ინფორმაცია არ ააქვთ, 5-ათასი ევრო გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობების აღნუსხვის სამუშაოების განსახორციელებლად.

22.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა24 -ხმით

საკითხი დაყენებულ იქნა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

23.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24 -ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

24.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

საკითხი დაყენებულ იქნა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმების დაწყებას.

25.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

საკითხი დაყენებულ იქნა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

26.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24 -ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

27.10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

28.11. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა24 -ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიებულ იქნა ცნობად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოასდგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნეს კომისიის წარმატებულ საქმიანობაზე.

29.13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში მდებარე N13 ქუჩისათვის ,,რამიკო აროშიძის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

30.14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის ნაწილისა და მიმდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,დავით სარაჯიშვილის“ ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

15. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი, ქალბატონი მ. ჩხიკვიშვილი, აღნიშნა, რომ რადიკალური ოპოზიცია, განსაკუთრებით „ნაციონალები“, გააფთრებით იბრძვის არაკონსტიტუციური ხერხებითა და მეთოდებით სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, ქართული სახელმწიფო ინტერესების დასაცავად პარლამენტში რეგისტრირებულ საკანონმდებლო ინიციატივას ასაღებენ როგორც „რუსულ კანონს“, თავს ესხმიან ეკლესიას, აორგანიზებენ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მიმართულ აქციებს, მაგრამ მათი სრულიად არაკანონიერი და დესტრუქციული ქმედებების საპირისპიროდ ქართველი ერი უფრო მეტად გახდა კონსოლიდირებული, ერთიანი და ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების მიზნითა გაერთიანებული, მოუწოდა საკრებულოს, მუნიციპლიტეტის მერიასა და საზოგადოებას მაქსიმალურად იღვაწონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი